პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
კვირა 19 ივლისი
№ 167 (18109)
ფასი 2 კაპ.

მკათათვის ცხარე დღეები

ვიმუშაოთ უფრო თამამად, ვიმოქმედოთ უფრო შეუპოვრად, — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მესამე პლენუმის ეს მომწოდებელი სიტყვები რესპუბლიკაში გაჩაღებული საჭირნახულო ლაშქრობის მონაწილეთა საბრძოლო დევიზი გახდა. და მართლაც, ახლა მხოლოდ მემინდვრეთა და მექანიზატორთა შეუპოვარი და საზრიანი შემართება და ურთიერთდახმარება გადაარჩენს ჭირნახულს. მხოლოდ გაორკეცებული, ერთსულოვანი მეცადინეობა დაგვაძლევინებს ალოობაში უამინდობით გამოწვეულ დიდ ჩამორჩენას.

არადა, მკის წლევანდელი ტემპი შარშანდელი შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს ხანახვეროდაც ვერ უტოლდება. გასული წლის დონეს ჩამორჩება მარცვლეულის ჰექტარობრივი მოსავლიანობაც. ეხეკი, რა თქმა უნდა, ძირითადად ავდარს ბრალდება, მაგრამ იქ, სადაც მკის გადამწყვეტი დღეებისათვის გაზაფხულიდანვე ემზადებოდნენ, სადაც წინასწარ გაანაწილეს ძალები და საშუალებები და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების ოპერატიულ მანევრირებას ახერხებენ, ამინდის ჭირვეულობამ ბევრი ვერაფერი დააკლო. ამას მოწმობს, თუნდაც, ერთნაირ ბუნებრივ პირობებში მყოფი რაიონების მარცვლეულის მოსავლიანობის მეტისმეტად განსხვავებული შედეგები. მაგალითად, შუა ოვლისისათვის მარნეულში ჰექტარზე საშუალოდ გალეწეს 24 ცენტნერი მარცვლეული, ბოლნისსა და თეთრწყაროში კი შესაბამისად — 17 და 12 ცენტნერი. ახეთივე კონტრასტულია გურჯაანელთა (21 ცენტნერი) და საგარეჯოელთა (13 ცენტნერი) მარცვლეულის მოსავლიანობის მაჩვენებლებიც.

თავთავიანი კულტურების გამოსავლიანობა წითელწყაროს რაიონის ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში ამით გაზარდეს, რომ უანგა გაყოფით მომკეს.

ამ ხერხის გამოყენება მარცვლეულის დიდძალ დანაკარგს აიცილებს თავიდან ამ მეურნეობებს, სადაც ყანები ძლიერ დახარვლიანებული, ჭანარი და ტანაყრილია, მექანიზატორების მიერ მკის მოხერხებული მეთოდების შერჩევას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წლევანდელ ძნელ ალოობაში, როცა ჩაწოლილ ყანებში კომბაინს მუშაობა უჭირს და უკვე მოყვანილი მოსავალი ხელიდან გვეცლება.

ეს ვითარება გვიკარნახებს უფრო გულდაგული მოვიმარჯვოთ შრომისა და წარმოების ორგანიზაციის მოწინავე მეთოდები, საგანგებო ყურადღება დავუთმოთ მოსავლის აღების ინტენსიური პროგრესული ტექნოლოგიის გამოყენებას, მოსავლის ასაღებ სატრანსპორტო რგოლების, რაზმებისა და კომბალეკსების შექმნას.

მკათათვის ამ ცხარე დღეებში, როცა ალოობა დღითი დღე მეტი ტემპით ჩადგება და ახალ-ახალი რაიონები ებმებიან ბაში, უველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ტექნიკა საიმედოდ იყოს მომზადებული დიდმწარმოებლური გამოყენებისათვის. ამ მხრივ სამაგალითოდ გაიხარეს წითელწყაროს და სოღნაღის რაიონებში, სადაც დროულად შეაკეთეს და შეუფერხებლადაც ამუშავებენ მანქანებს. თუმცა, ბევრ მეურნეობაში კომბაინები და სამკელები ჯერ კიდევ გაუმართავია. მაგალითად, 15 ივლისს ქარელის რაიონში 48 კომბაინის ნაცვლად მხოლოდ 17 მკიდა ყანას; ამავე დღეს სიღნაღის რაიონის ქვემო მაჩხაანის კოლმეურნეობაში კი 7 კომბაინიდან 5 გაჩერებული იყო. ათობით ტრაქტორია შესაკეთებელი ლაგოდეხისა და თეთრი წყაროს რაიონებში; ბევრი სატვირთო ავტომობილი ცდება ბორის რაიონში და სამხრეთ ოსეთში.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ზემოხსენებული რაიონების ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო-სამეურნეო ორგანოები სუსტად აკონტროლებენ ალოობისათვის მზადების საქმეს. ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოსწორდეს. მთელი ტექნიკა ჭირნახულის დიმნენავების სახსახურში უნდა ჩადგეს.

საქმეს ისიც ართულებს, რომ მექანიზატორებს კომბაინების ძრავების უხარისხოდ ურემონტებენ დიდმის ქარხანაში. ამის გამო მომდინარე ალოობაში სიღნაღის რაიონის ბოდბისეთის კოლმეურნეობაში ერთ კომბაინს სამჯერ შეუცვალეს ძრავა.

ამ ძნელი ალოობის დღეებში მექანიზატორებს უფრო ოპერატიულად უნდა ამარაგებდეს სათადარიგო ნაწილებით საქსახსოფლტექნიკა. მით უმეტეს, რომ თითქმის მთელი რესპუბლიკის მეურნეობებში გუთნის წინა სახნისების, სატვირთო ავტომანქანების საბურავების, ვენტილატორების ღვედების და ტიქმომსახურების მასალების ნაკლებობას განიცდიან.

ახლა სწორედ უარიანია ბოგადნოვკელ, საგარეჯოელ და ახალციხელ კოლმეურნეებს შევახსენოთ, რომ მათ შარშან რესპუბლიკურ საშუალო დონესთან შედარებით ჰექტარზე 10 ცენტნერით ნაკლები ბორბალი მიიღეს. თიანელმა კოლმეურნეებმა კი, რაც დათესეს, ისიც ძლივს აინაზღაურეს. ამის გახსენება მით უმეტეს ხალ ჭიროა ახლა, როცა მარცვლეულის წარმოებას, მაინცდამაინც, კარგი პირი არ უჩანს, დასანანია, რომ რესპუბლიკის 57 მეურნეობა ჰექტარზე 4-ოდე ცენტნერ მარცვლეულს იღებს. ამ მეურნეობების დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ყოველმხრივ გაზარდონ მარცვლეულის წარმოება, შეახრულონ მისი შესყიდვის გეგმა-ვალდებულებანი. ეს კი მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, რომ შეინარჩუნონ და საიმედოდ დაამბინაონ ყოველი კილოგრამი ჭირნახული.

ალოობის ამ ცხარე დღეებში ათასობით მიწათმოქმედი აისიდან დაისამდე მინდვრად არის გასული. ეს გარემოება მეურნეობის ხელმძღვანელებს ავალებს დღენიადაგ იზრუნონ ადამიანთა საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურებისა და კულტურული დასვენებისათვის; შეუქმნან მათ საჭირო პირობები ნაყოფიერი შრომისთვის, ვინაიდან „ადამიანები უფრო უკეთ, უფრო ხალისიანად იქ შრომობენ, სადაც დღენიადაგ გრძნობენ ზრუნვას მათი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის“, — აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა.

საჭირნახულო ლაშქრობის პირობების გართულების კვალობაზე მემინდვრეებსა და მექანიზატორებს სულ უფრო მეტად სჭირდებათ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული მუშაკების თანადგომა, კონკრეტული დახმარება ჩამორჩენის დაძლევაში.

ჩამორჩენა კი დახაძლევია მოსავლისაგან გათავისუფლებული მინდვრებიდან ნამჯის გატანასა და ნაწვერალზე თესვაშიც. სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი მონაცემებით, თავთავიანი კულტურები აღებულია 25.647 ჰექტარზე, სანაწვერალო და შუალედური კულტურები კი ხაგეგმო 30 ათასის ნაცვლად დათესილია მხოლოდ 6 ათას ჰექტარზე. ნამჯა გასატანია 15.765 ჰექტარიდან. ამ საქმეს მეტისმეტად აყოვნებენ ლაგოდეხის, ყვარლის, ახმეტის, საგარეჯოს, ბოლნისის და სხვა რაიონები. ისინი ხელიდან უშვებენ დამატებითი საკვების წარმოების და, საერთოდ, მეორე მოსავლის აღებისა და ნიადაგის ფაფარის შენახვის, ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების ინტენსიურ ჩატარებას. ეს ბევრ ადგილას ნაფიზლში შეიქმნა ჩვენს რესპუბლიკაში.

რესპუბლიკის მემინდვრეები და მექანიზატორები, სოფლის ყველა მშრომელი გამოსწორებენ უამინდობით გამოწვეულ ჩამორჩენას, მეორე მეოთხედ ძალ-ღონეს, ენერგიასა და ენთუზიაზმს მოახმარენ წლის მთელ ძალ-ღონეს, ენერგიასა და ენთუზიაზმს მოახმარენ წლის მეგეგმებისა და ვალდებულებების შესრულებას. ეს მათი ღირსეული პასუხი იქნება.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

17 ივლისს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს იმ დადგენილების პრაქტიკული რეალიზაციის ღონისძიებანი, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს „ნეფელეულის, სთობობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების ეკონომიისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ საჭიროა სისტემატიური კონტროლი დაუწესდეს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დადგენილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ხელმძღვანელობით გარკვეული მუშაობაა გაწეული ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილების ეფექტიანობის ასამაღლებლად და დამნაშავეობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად. გასულ წელთან შედარებით საანგარიშო იქვს თვეში მნიშვნელოვნად შემცირდა დანაშაულობების, მათ შორის განსაკუთრებით საშიშ დანაშაულობათა რიცხვი. გახსნილია უფრო მეტი დანაშაული.

ამასთანავე, აღინიშნა თათბირზე, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის შედეგები ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება მოთხოვნებს, კრიტერიუმებსა და შეფასებებს, რომლებიც გამომდინარეობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის III პლენუმის გადაწყვეტილებებიდან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ნ. ო. შჩოლოკოვის გამოსვლებიდან ზეიმზე, რომელიც ქართული საბჭოთა მილიციის მე-60 წლისთავს მიეძღვნა.

ყველგან ხარისხოვნად და ჯეროვან დონეზე როდი წყდება ზოგიერთი სახეობის ძძიმე დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები, არ ხორციელდება გადამწყვეტი ღონისძიებანი მრავალი საშიში დანაშაულის თავიდან ასაცილებლად და გასახსნელად. რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მართლწესრიგის მდგომარეობისადმი კონტროლი უნდა ხორციელდებოდეს ყველა სამართალდამცავი ორგანოს უფრო მჭიდრო და ფართო თანამშრომლობის საფუძველზე, სხვა სახელმწიფო დაწესებულებების, შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით. მეტ გაჯანსაღებას მოითხოვს ხულიგნური გამოვლინებების წინააღმდეგ, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში დამნაშავეობის დონის შემცირებისა და ნიველირების პრაქტიკის აღსაკვეთად ბრძოლა, როცა უარს ამბობენ ხოლმე მათ რეგისტრაციაზე. იმატა ავარიებისა და დაჯახების, აგრეთვე ავარიების დროს დაშავებული ადამიანების რაოდენობამ. უნდა გამოსწორდეს მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლა. დამფიქრებელია ის ერთგვარი სხვაობა, რომელიც შეიმჩნევა სოციალისტური საკუთრების დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების, ცენტრალური აპარატის აქტიურობისა და მთელი რიგი პერიფერიული ორგანოების ჩამორჩენის შორის.

თათბირის მონაწილეებმა გამოთქვეს ერთსულოვანი აზრი, რომ ამჟამად რესპუბლიკაში ყველა პირობაა შექმნილი, რათა წარმატებით აღმოიფხვრას ეს და სხვა ნაკლოვანებანი, ფართოდ გაჩაღდეს ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის საიმედო დაცვის უზრუნველაყოფად, რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შემდგომი გაჯანსაღებისათვის.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

უკანასკნელი ხანს, აღინიშნა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ბევრი რამ ითქვა ამოცანებზე, რომლებიც რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს აკისრიათ დამნაშავეობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის შემდგომი გაძლიერების საქმეში. მათ შესახებ პრინციპული, საქმიანი სკამაისი გვქონდა საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, რესპუბლიკის პარტიის ყრილობის სპეციალური სამუშაო ჯგუფების სხდომებზე, სამუშაო თათბირებზე.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის შემდეგ, მისი მითითებებისა და დებულებების შესაბამისად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, მინისტრთა საბჭო, ხელმძღვანელი ადმინისტრაციული ორგანოები, მათი ადგილობრივი ორგანიზაციები უფრო კონკრეტულად სწავლობენ მართლწესრიგის განმტკიცების საკითხებს. რესპუბლიკაში ადმინისტრაციული ორგანოების პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებისა მათი საქმიანობისადმი კონტროლის გარკვეული სისტემა დამკვიდრდა. იგი ქმედითი და ნაყოფიერი გამოდგა. რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების გასაუმჯობესებლად პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შედეგების რეგულარული დროული შეჯამების პრაქტიკა აადვილებს საქმის მდგომარეობის ანალიზს, ხელს უწყობს

(დასასრული მე-2 გვ.)

ს. ი. ბრეჟნევი შეხვდა ბ. ქარმალს

17 ივლისს ყირიმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი შეხვდა ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარეს ბ. ქარმალს, რომელიც დასასვენებლად არის ჩამოსული საბჭოთა კავშირში.

ლ. ი. ბრეჟნევმა დაახასიათა თანამედროვე საერთაშორისო ვითარება, რომელიც უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად გართულდა იმპერიალისტური წრეების, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედების შედეგად. ეს წრეები ადგანან ავანტიურისტულ გეზს, რომლის მიზანია ძირი გამოუთხარონ დაძაბულობის შენელების პროცესს, კიდევ უფრო გაამწვაონ მილიტარისტული ისტერია და გააძლიერონ გაბალებული შეიარაღება. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, კერძოდ, შეეხო სპარსეთის ყურის რაიონში შექმნილ მდგომარეობას, ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ რეალისტური და აქტუალურია საბჭოთა კავშირის წინადადებები ამ რაიონში ვითარების ნორმალიზაციის შესახებ, რომლებიც სკკპ XXVI ყრილობაზე წამოაყენეს.

ბ. ქარმალმა გააშუქა ავღანეთის აპრილის რევოლუციის განვითარების მიმდინარეობა, თქვა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ახლახან შექმნილ ეროვნულ სამამულო ფრონტს, ილაპარაკა ავღანეთის შეიარაღებული ძალების წარმატებებზე საზღვარგარეთიდან შემოგზავნილი ბანდიტური შენაერთების წინააღმდეგ, დაადასტურა, რომ მტკიცდება ავღანეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციები. ავღანელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი საკადრისი პასუხი გასცეს ყოველ ცდას, რომლის მიზანია თავს მოახვიონ ძველი ფეოდალური წყობილება და მოსპონ რევოლუციის მონაპოვარნი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ბ. ქარმალმა განიხილეს ავღანეთის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობის საერთაშორისო ასპექტები. მათ აღნიშნეს, რომ მთელი რიგი იმპერიალისტური ქვეყნების, ჰეგემონისტური ძალებისა და მათი მოკავშირეების ჩარევის შედეგად ავღანეთთან დაკავშირებული პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების საქმე ჯერ კიდევ ვერ დამდგარა პრაქტიკულ რელსებზე. არადა, მოწესრიგება შესაძლებელია, და მისი კარგი საფუძველი გახდებოდა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ცნობილი წინადადებები.

საუბრის მონაწილეებმა კმაყოფილება გამოთქვეს იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობა, თანამშრომლობა და ინტერნაციონალური სოლიდარობა სულ უფრო მტკიცდება ორი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, რეგიონის მშვიდობისა და მთლიანად საერთაშორისო უშიშრობის დამკვიდრების ინტერესებისათვის.

ლ. ი. ბრეჟნევისა და ბ. ქარმალის შეხვედრამ გულთადობის, მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

ხურათზე: საუბრის წინ. საკდეს-საინფორმის ტელეფოტო.

ეკონომიურ ...

უცვლელი ბრიგადირის იუბილე

დღეს, 19 ივლისს ზუგდიდში, ენგურჰესალდაკომბინატის ... რის სასახლეში გაიმართება ორგზის სოციალისტური შრომის გმირის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის, ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 საწარმოო ბრიგადის ბრიგადირის თამარ ყუფუნიას იუბილე.

ოთარ შალამბერიძე

ჭირნახულის დედა

სოციალისტური შრომის გმირს თამარ ყუფუნიას დაბადებიდან 80 წლისთავის გამო

აღერილი, თამამი,
მოაბიჯებს მხნედ
ქალბატონი თამარი,
ჭირნახულის დედა!..

შრომის მადლი დანათის,
ასპიროზის მადლი —
ოთხმოცი წლის ტანადი
მანდილოსნის მანდილს!..

ქვეყნის შნო და ჯავარი,
ნათელი და მშვიდი
ქალბატონი თამარი
მთავრობაში მიდის.

დაჯერებულ ნაბიჯებს
და გამჭრიახ მზერას
მეტ სიმართლეს ანიჭებს
გამარჯვების რწმენა.

ყველა კეთილ-მოყვარეს
ეჩვენება, თითქოს
წლებმა კი არ მოხარეს,
ჩაი უნდა კრიფოს!..

ცხოვრებაში მთავარი
გარჯილობა გახლავთ, —
ქალბატონი თამარი
ასე ფიქრობს ახლაც.

ახლაც, როცა დაღლილ მხრებს
დასწოლია დრონი,
მინდვრის დიასახლისი
ჭკუითა და გონით

ცდილობს, დროს არ ჩამორჩეს
(არ აშინებს წლები)
და ჰგავს მიწის ნაოჭებს
მისი ნაოჭები!..

აწმყოს ფართო თავანით
ხვალინდელ დღეს ხედავს
ქალბატონი თამარი —
ჭირნახულის დედა!...

მიდის მხნე და ძლიერი,
მიაბიჯებს ნელა;
მისი თვალსაწიერიც
მის თვალებში ელავს...

საქმეს მისთვის მინდობილს,
გულის გულშიც ხედავს
შრომისა და მშვიდობის
შუბლნათელი დედა!..

ისემც მადლი მოგიცეთ,
კი არ მომეწვნენა,
რუსთაველის პროსპექტზე
ყანის ვიგრძენ ფშვენა...

მაშ, სურნელი სიმინდის
აქ საიდან გაჩნდა,
შორეული სიბინდით
მინამსგავსი ლაჟვარდს?!..

რაკი შრომა მშრომელის
თავდადებას ითხოვს
იმას ნიშნავს, რომ შრომა
სამშობლოა თვითონ.

სიკეთე და სიბრძნეა
უნაპირო ყოვლად,
რადგან შრომა იძლევა
სამამულო დოვლათს.

ხელმართალი, თამამი,
მოაბიჯებს მხნედ
ქალბატონი თამარი —
ჭირნახულის დედა!..

18. 7. 81 ნ.

ულოცავენ

ოსანა აივაზაშვილი,

ახმეტის რაიონის სოფელ ქვისტაურის ნოვატორი მეაბრეშუმე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

რომელიც ახხოვსნებს ადამიანურ ცხოვრებას. „ბედნიერებაა, ვფიქრობდი მე, — ქვეყანას ასეთი ადამიანები რომ ჰყავს, ვიხი ერთი სიტყვაც კი საკმარისია, რომ ათასებმა იატაკიდ, იწამონ, გამუვნენ ყველაზე ძნელი ზღუდეების დაძლევისათვის ლაშქრობაში“. საიუბილეო თარიღს გილოცავ, ძვირფასო თამარ!

ნანული მელიავა,

ლანჩხუთის რაიონის მამათის კოლმეურნეობის მეჩაიე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი.

ცხოვრების დიდი და ნათელი გზა. ... ოციალისტური შრომის გმირმა, რესპუბლიკის პარლამენტის წევრმა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატმა თამარ ყუფუნიამ. ... ნოვანი ქალის მოუშაობის დიდ გამოცდილებაზე, ხერხებსა და მეთოდებზე ათასობით ახალბედა მეჩაიე აღზრდილა და შემდეგ საკვეყნოდ ცნობილიც გამხდარა.

ჩვენი თამარი უკვე 80 წლისაა. მიხარია, რომ იგი კვლავ დაუცხრომლად, მხნედ ირჯება და ჩვეული ენერგიით, საქმის ცოდნით უძღვება მრავალდარგოვან ბრიგადას მშობლიურ კოლმეურნეობაში.

ვუსურვოთ მას დიდხანს სიცოცხლე, დიდხანს მშობლიური ბრიგადის ხელმძღვანელობა და წარმატებები საზოგადოებრივ საქმიანობაში.

არსენ ღოლიჯაშვილი,

გორის რაიონის ბერბუკის საბჭოთა მეურნეობის № 1 ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

თამარ ყუფუნიაზე მოგახსენებთ, დიდ მამულიშვილზე, ქვეყნის წარჩინებულ ადამიანზე. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე დიდი სიყვარულით და პატივისცემით ილაპარაკა მასზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ა. ივეკი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე, მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, საპროექტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ დაათვალიერეს საწარმოს საამქროები, ყურადღებით გაეცნენ მის მუშაობას, რეკონსტრუქციის პროექტებს, ტრაქტორმშენებლობის სიახლეთა ნიმუშებს.

ამხანაგები ე. შევარდნაძე და ა. ივეკი შეხვდნენ საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის“ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამოიკითხეს როგორია მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობები, უსურვეს ახალი წარმატებები მუშაობისა და პირად ცხოვრებაში.

აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდი ნდობა გამოუცხადეს ქუთაისელ ტრაქტორმშენებლებს ახალ სიმძლავრეთა ათვისების საქმეში და მათ ეს ნდობა უნდა გაამართლონ — მოკლე დროში ათვისონ მეტად საჭირო პროდუქცია, რომელიც გათვალისწინებულია ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საწარმოში სტუმრებს ახსნა-განმარტებას ძძლევდნენ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე, ქარხნის დირექტორი რ. ჭარციკაძე, მეთაური სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი შ. ელიავა და სხვები.

ამხანაგები ე. შევარდნაძე, ა. ივეკესი, ზ. პატარიძე, ზ. ჩხეიძე და სხვები იყვნენ აგრეთვე ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. გაეცნენ სოფლისათვის განკუთვნილი ახალი ტიპის ავტომობილების ნიმუშებს, დაათვალიერეს საავრეგატო კორპუსის სამშენებლო-საამონტაჟო მოედანი, ესაუბრნენ მშრომელებს. (საქინფორმი).

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანა უფრო ძლავრი გახდება

ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის ტრაქტორი „რიონი“ დიდად პოპულარულია ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, იგი ვერ აკმაყოფილებს სოფლის მეურნეობის სულ უფრო მზარდ მოთხოვნებს: მცირე სიმძლავრისაა, არ არის აღჭურვილი საკმარისი რაოდენობის მისაბმელი იარაღებით.

სკკპ XXVI ყრილობამ ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა ტრაქტორმშენებლებს. ეს ამოცანები მთლიანად ეხება ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივსაც.

გასული წლის დასაწყისში, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს საწარმოო გაერთიანებაში — „ქუთაისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში“ 1981-1985 წლებში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების მცირე მექანიზაციის საშუალებათა წარმოების სიმძლავრეთა შექმნის ღონისძიებანი.

დადგენილებით გათვალისწინებულია უზრუნველყოს წელიწადში 35 ათასი მოტობლოკის, 15 ათასი მცირეგაბარიტიანი ტრაქტორისა და მისთვის საჭირო იარაღების 15 ათასი კომპლექტის საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედება. მოტობლოკებს ექნება 5-7-ცხენისძალიანი ძრავები, ტრაქტორებს — 10-12 ცხენისძალიანი ძრავები.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს ქუთაისში საწარმოო გაერთიანების მუშაკებისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების, საერთო საცხოვრებლების, სამავშვო სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების ობიექტების მშენებლობა და ამოქმედება.

მიმდინარე წლის მესამე კვარტალის დამდეგს გამოშვებულია ახალი პროდუქციის პირველი საცდელი პარტია. გადაწყვეტილია მეთერთმეტე ხუთწლედის პირველი წლის დამლევამდე დამზადდეს 150 მოტობლოკი, მომავალ წელს ქვეყანა მიიღებს 1 500 ამგვარ ბლოკს. სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ შექმნა და დაამზადა მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ნიმუშები, რომელთა ძრავების სიმძლავრე 10-12 ცხენის ძალას შეადგენს.

ამ დღეებში წარმოების შეუჩერებლად მიმდინარეობს ქარხნის რეკონსტრუქცია, ახალი ობიექტების მშენებლობა.

რეკონსტრუქციის საკითხებს მიეძღვნა მიმდინარე წლის 17 ივლისს საწარმოში გამართული თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. შევარდნაძე, სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის მინისტრი ა. ივეკესი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ზ. პატარიძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. ჩხეიძე, მთელი რიგი საკავშირო და რესპუბლიკური სამინისტროების სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, საპროექტო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათ დაათვალიერეს საწარმოს ტერიტორიაზე ... ლიერეს საწარმოს საამქროები, ... ურადღებით გაეცნენ მის მუშაობას, რეკონსტრუქციის პროექტებს, ტრაქტორმშენებლობის სიახლეთა ნიმუშებს.

ამხანაგები ე. შევარდნაძე და ა. ივეკესი შეხვდნენ საწარმოო გაერთიანება „ქუთაისის სსრ კავშირის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის“ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამოიკითხეს როგორია მათი შრომის, ყოფა-ცხოვრების პირობები, უსურვეს ახალი წარმატებები მუშაობისა და პირად ცხოვრებაში.

აღინიშნა, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დიდი ნდობა გამოუცხადეს ქუთაისელ ტრაქტორმშენებლებს ახალ სიმძლავრეთა ათვისების საქმეში და მათ ეს ნდობა უნდა გაამართლონ — მოკლე დროში ათვისონ მეტად საჭირო პროდუქცია, რომელიც გათვალისწინებულია ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საწარმოში სტუმრებს ახსნა-განმარტებას ძძლევდნენ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. რუხაძე, ქარხნის დირექტორი რ. ჭარციკაძე, მეთაური სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი შ. ელიავა და სხვები.

ამხანაგები ე. შევარდნაძე, ა. ივეკესი, ზ. პატარიძე, ზ. ჩხეიძე და სხვები იყვნენ აგრეთვე ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში. გაეცნენ სოფლისათვის განკუთვნილი ახალი ტიპის ავტომობილების ნიმუშებს, დაათვალიერეს საავრეგატო კორპუსის სამშენებლო-საამონტაჟო მოედანი, ესაუბრნენ მშრომელებს. (საქინფორმი).

სრულვყოთ ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პარტიული ხელმძღვანელობა

(დასასრული)

დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო ფორმებისა და მეთოდების ძიებას, ამ ბრძოლის გაძლიერების კონკრეტული გზების დასახვას. ყოველივე ეს დადებითს გავლენას ახდენს ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობაზე.

ამასთანავე, აღნიშნა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, ზოგიერთმა პოზიტიურმა ძვრებმა როდი უნდა მოგვცეს თვითდამშვიდების საბაბი, თვით ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შედეგების დროული შეჯამების სისტემა მოითხოვს შემდგომ განვითარებასა და სრულყოფას. უნდა ვეძებოთ მთლიანად რესპუბლიკასა და მის ცალკეულ რეგიონებში, ქალაქებში, რაიონებში საქმის მდგომარეობის ანალიზის უფრო ეფექტიანი და დიფერენცირებული ფორმები. ცხადია, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის შეფასების მეთოდიკაც დიფერენცირებულ მიდგომას მოითხოვს. არსებული სისტემის პირობებში ზოგჯერ ჩამორჩენილებს შიაკუთვნებენ ხოლმე იმ ორგანოს, რომელმაც მეტი რაოდენობის სამართალდარღვევები გამოავლინა, რაც სტატისტიკურ ანგარიშგებებში აისახება როგორც ოპერატიული ვითარების გაუმჯობესება. შეფასების სისტემა სტიმულს უნდა აძლევდეს კარგ მუშაობას. საჭიროა მხარი დაეჭიროთ აქტიურობას, გულმოდგინე მუშაობას დანაშაულობათა გამოსავლენად, და ამასთანავე მკაცრად მოვკითხოთ პასუხი იმათ, ვინც სასიკეთო ციფრებით ჩქმალავს საკუთარ უნიათობას.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, ხაზი გაუსვა შემდეგ ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ საქმიანობის ისეთ უმნიშვნელოვანეს მხარეს, როგორიც არის მუშაკთა პასუხისმგებლობის ამაღლება ყოველ სამუშაო უბანზე. უფრო ღრმად და ყოველმხრივ უნდა ვაანალიზებდეთ, თუ როგორ უნერგავენ პასუხისმგებლობის გრძნობას პარტიული და საბჭოთა ორგანოები ადმინისტრაციულ ორგანოთა თითოეულ მუშაკს, რა ღონისძიებები ხორციელდება სამართალდამცავი ორგანოების პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის. ამ საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ მრავლად გვაქვს ნაკლოვანებანი და გადაუჭრელი პრობლემები.

როგორც ადგილებზე საქმის ოპერატიული მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომები ჯერ კიდევ არ უთმობენ საკმარის ყურადღებას ადმინისტრაციულ ორგანოებს, მუშაობენ ინერციით, ნაკლებად ზრუნავენ იმისათვის, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის გაძლიერების საქმეში შეძენილი დადებითი გამოცდილება საყოველთაო კუთვნილებად იქცეს. მტკიცედ მოჰკიდონ ხელი ამ საკითხების გადაწყვეტას, დარაზმონ საზოგადოებრიობა წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ საბრძოლველად — ეს ხელისუფლების აგდილობრივი ორგანოების უშუალო, ღვიძილ საქმეა.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა — პოლიტიკური, სოციალური, სახელმწიფოებრივი საკითხია და იგი მოითხოვს ყველა ჩვენი პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოს, რესპუბლიკის მთელი საზოგადოებრიობის შეუნელებელ ყურადღებას. საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობისათვის ყველა უნდა აგებდეს პასუხს. ამისათვის კი საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ადმინისტრაციული ორგანოების ძირეული როგორების პასუხისმგებლობა.

უკანასკნელ ხანს თითქმის ყველა ადმინისტრაციული ორგანოს მუშაობაში დამკვიდრდა რეგულარული შეხვედრებისა და სამქიანობის შედეგების შეჯამების პრაქტიკა. ასეთ შეხვედრებზე, რომლებიც ადგილებზე მოეწყობა, უფრო ხშირად უნდა იქნენ მიწვეული ადმინისტრაციული ორგანოების ის მუშაკები, რომლებიც პასუხს აგებენ თავიანთ მიკროუბანში საქმის მდგომარეობისათვის — რიგითი მილიციელები, უბნის ინსპექტორები. ეს უზარმაზარი არმიაა. მათს უმრავლესობას შეადგენენ პატიოსანი, საქმის ერთგული ადამიანები, რომლებსაც გული შესტკივათ საქმის ოპერატიული მდგომარეობისათვის როგორც თავიანთ მიკროუბანში, ისე მთლიანად რესპუბლიკაში. ასეთი პრაქტიკა სულ უფრო მეტად ზრდის მათს ავტორიტეტსა და პასუხისმგებლობას მოსახლეობის წინაშე, რაზმავს თვით ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს, და საქმისათვის ამას მხოლოდ სარგებლობა მოაქვს.

ჩვენმა ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ისწავლეს საქმის საერთო მდგომარეობის ღრმა ანალიზი. ახლა უნდა შეძლონ თითოეული თანამშრომლის მუშაობის გაანალიზებაც, ღრმად და საფუძვლიანად ერკვეოდნენ მის მოქმედებაში, იჩენდნენ მაქსიმალურ სამართლიანობას მისი საქმიანობის შეფასებისას და სიმკაცრეს მისი საქციელისადმი.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დიდი ყურადღება დაუთმო ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს. რა დასამალია, აღნიშნა მან, და ზოგჯერ ამ ორგანოების მუშაკები კონკრეტულ პრაქტიკაში უმეცრებას, დაბალ კვალიფიკაციასა და არაკომპეტენტურობას ამჟღავნებენ. ასეთ ფაქტებს კი გვერდს ვერ ავუვლით. ყოველი ასეთი ფაქტი პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს მოქალაქეთა ბედ-იღბალზე. უსულგულობის, უმეცრებისა და არაკომპეტენტურობის, ხოლო ზოგჯერ თვალის ახვევის ნებისმიერი გამოვლინების დამშვებთ მთელი სიმკაცრით უნდა შევუფარდოთ საბჭოთა კანონები. სწორედ ამიტომ, ადმინისტრაციული ორგანოების თითოეულ მუშაკთან მუყაითი და საფუძვლიანი მუშაობა გვმართებს.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ძალზე მაღალია გაუხსნელ დანაშაულობათა პროცენტი. ეს უნდა იწვევდეს ყოველი ჩვენგანის განსაკუთრებული შეშფოთების გრძნობას, ვინაიდან გაუხსნელი დანაშაულობანი — ეს არის ათობით და ასობით დამნაშავე, რომლებიც ლაღად დაპარპაშებენ, და ვინ იცის, იქნებ უკვე ამზადებენ ახალ დანაშაულობებს სახელმწიფოსა და ადამიანების წინააღმდეგ. ადმინისტრაციული ორგანოების ყველა მუშაკმა მკაფიოდ უნდა შეიგნოს, რომ აუცილებელია ძირეულად გაუმჯობესდეს საქმის მდგომარეობა დანაშავეობასთან ბრძოლის ამ დარგში.

უმნიშვნელოვანეს საკითხებს შორის, რომლებსაც სამართალდამცავი ორგანოების ძირითადი ყურადღება უნდა დაეთმოს, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ დასახელა დანაშაულობათა გამოძიება-გახსნის და საქმეთა განხილვის ოპერატიულობის ამაღლების პრობლემა. ყველა ამ ეტაპზე, ხაზი გაუსვა მან, ოპერატიულობა საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციისა და მოსახლეობის ინფორმირების ოპერატიულობასთან ერთად უნდა მივიჩნიოთ დამნაშავეობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლის გაძლიერების ერთ-ერთ ყველაზე ქმედით საშუალებად. ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ ასეთი ოპერატიულობის მაგალითად დასახელა საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში ბავშვის მოტაცების საქმის გამოძიების, გახსნისა და განხილვის ფაქტი. ეს ფაქტი, საქართველოს მილიციამ შეიტყო რესპუბლიკის ტელევიზიის ოპერატიულად და კვალიფიციურად ორგანიზებული ტელეგადაცემის მეოხებით.

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის გამოსვლაში დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ნეგატიური მოვლენების, მუქთახორობის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისათვის თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს. ამ საქმეს, ხაზი გაუსვა მან, ერთად უნდა მოჰკიდონ ხელი პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, მკაცრად მოჰკითხონ არა მარტო უშუალო ბრალეულებს, არამედ აგრეთვე კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვადასხვა შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელებს, რომლებიც შემწყნარებლურად ეკიდებიან პარაზიტულ ელემენტებს. აქ უნდა შივაღწიოთ მეტ საჯაროობას და ეფექტიანობას, რომელიც ზოგჯერ აკლიათ ჩვენს პარტიულ, საბჭოთა, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მილიციის, სასამართლოს, პროკურატურის ორგანოებში მოვიდნენ განათლებული, მაღალკვალიფიციური ადამიანები, რომელთა უმრავლესობა ერთგულად ემსახურება დაკისრებულ საქმეს. მაგრამ ეს კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს მათი შემდგომი მუშაობა იდეურ-თეორიული და პროფესიული ცოდნის, კომპეტენტურობის ასამაღლებლად. კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სადღეისო ამოცანების დადაწყვეტა გუშინდელი პროფესიული ბაგაჟის ამარა უკვე შეუძლებელია.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ გაანალიზა ადმინისტრაციული ორგანოების რიგების სიწმინდისათვის ბრძოლის მდგომარეობა.

კრისტალური სისუფთაკის გარეშე, თქვა მან, ლაპარაკიც ზედმეტია სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობაზე. თუ კაცი უზნეოა, მაშინ ჩალის ფასი აქვს მის ყოველგვარ კომპეტენტურობას, ყოველგვარ პროფესიულ ღირსებებს. ადმინისტრაციული ორგანოების რიგებში გამორეულმა ერთმა უპატიოსნო მუშაკმაც კი შეიძლება ჩირქი მოსცხოს მთელ კოლექტივს. ამიტომ საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ ბრძოლა, რათა მთლიანად გავწმინდოთ მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები არაჯანსაღი ელემენტებისაგან. რაც უფრო აქტიურად წარიმართება მათთან ბრძოლა, მით უფრო მაღალი იქნება კოლექტივის ავტორიტეტი და სპეკაკი — ჩვენი რიგები. ამ მხრივ ჩვენს წინაშე დგას ორი ერთმანეთისა ამოცანა: ერთი მხრივ, გამოვიჩინოთ მაქსიმალური მზრუნველობა სამართალდამცავი ორგანოების მუშაკებისადმი, და მეორე მხრივ, წავუყენოთ მათ მაღალი, პრინციპული მოთხოვნები.

ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე საგანგებოდ შეეხო ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა პოლიტიკური სიფხიზლის ამაღლების საკითხებს.

დასასრულ მან ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს დიდი წარმატება უსურვა ძნელსა და საპატიო საქმიანობაში.

პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა თათბირს, რომელმაც დაზმაშავეობისა და სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლის 1981 წლის პირველი ნახევრის შედეგები განიხილა, არ მიუღია რაიმე გადაწყვეტილებანი, მაგრამ თათბირზე გამოთქმული მითითებები, რეკომენდაციები და რჩევა-დარიგებები პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების ორიენტირი უნდა გახდეს.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მ. სირაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები ნ. რ. საჯაია და ე. ა. სეხნიაშვილი.

(საქინფორმი).

კონტროლფცეა მკითხველთა წერილები

19 ივლისი მეტალურგის დღეა

ლითონი და ადამიანები





გეგმის გადაჭარბებით ათასობით ტონა ლითონი გამოუშვა წლის პირველ ნახევარში ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივმა. ამასთან დაზოგა დიდძალი ელექტროენერგია.

სურათებზე: ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის № 1 საამქროს ცვლის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ნანიტაშვილი (მარჯვნივ) და მდნობელი, სახელმწიფო პრემიისლაურეატი სულიკო ორჯონიკიძე საწარმოში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების მეწინავეები არიან; № 5 საამქროს სამართავი პუნქტი.

ა. მაჭავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

როგორც საკუთარ დუქანში...

თანამედროვე სერვისის ფონისა და კულტურის მიხედვით თბილისს ჩვენი ქვეყნის სანიმუშო ქალაქებს მიაკუთვნებენ. მისაბაძი და საამაყო მართლაც ბევრი გვაქვს, უცხოელი და შინაური ტურისტებიც ხომ შემთხვევით არ მოისწრაფვიან ჩვენსკენ, სტუმრის მოღებაც გვეხერხება და მასპინძლობის ყადრიც ვიცით.

ბუნებრივია, ასეთ ქალაქს სანიმუშო წესრიგი უფრო აკეთილშობილებს და ამშვენებს, მიმზიდველსა და სანუკვარს ხდის. სანიმუშო წესრიგი კი უპირველესად სახელმწიფო ვაჭრობაში, საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და საზოგადოებრივ კვებაში გვჭირდება, რადგან ეს დარგები ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებასთან ყველაზე ახლოა და სახალხო მეურნეობაშიც დიდ ხვედრით წილს ინარჩუნებენ.

ამ მხრივ ჩვენთან ბევრი რამ გაკეთდა მეათე ხუთწლედში, ახალი პროსპექტივებია დასახული მეთერთმეტეში. ეს ღონისძიებანი ძირითადად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებას, მომსახურების კულტურისა და ხარისხის ამაღლებას, ხელმძღვანელობის დახვეწას ეხება.

და ამ ფონზე დღესდღეობით თუ მაინც ვაწყდებით დამახინჯებებს, ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუებას, ფართო მოხმარების, კერძოდ, დეფიციტური საქონლის გადამალვას, ფასების გამოუცხადებლობასა და დარღვევას, ფალსიფიცირებული საქონლისა და პროდუქტების შეტანასა და გაყიდვას, ეს უპირველესად იმ ორგანოებისა და უწყებათა უნიათო მუშაობას უნდა მივაწეროთ, რომლებმაც ყურაღღება მოადენეს ამ საქმე თვითდინებაზე მიუშვეს.

არიან ადამიანები, რომლებიც მომსახურების სფეროში მოკალათდნენ და დახლის პატიოსან, შრომისმოყვარე მუშაკებს არცვენენ: ისინი მუდამ იმის ფიქრში არიან, ვის რა წაგლეჯონ, ქვას წვენი გამოადინონ, ჯერ წვრილმანებს სჯერდებიან, შემდეგ მგლის მადა მოსდით და ბოლოს, არავისა და არაფერს არ დაგდევენ. ქედმაღლობა და დარდიმანდობა მანამ გრძელდება, სანამ ხიფათს არ გადაეყრებიან, კისერს არ მოიტეხენ.

ეი, სწორედ, ეს ფაქტი ადამიანთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის არიან მოწოდებულნი ადმინისტრაციული ორგანოები, პრესა, ტელევიზია და რადიო და, რა თქმა უნდა, იმ სამინისტროები და უწყებები, რომელთაც ექვემდებარება ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საზოგადოებრივი კვების ობიექტები.

აქ მიზანშეწონილად მიგვაჩნია შევეხოთ კონკრეტულ ფაქტებზე.

ჩვენში სამამულო ომის მონაწილეები და ინვალიდები საერთო-სახალხო მზრუნველობით და სიყვარულით არიან გარემოსილნი, „საქმით“ იყო დაკავებული და რიგში მდგომი ინვალიდებისაკენ არც მიუხედავს. იქ კი არავინ იცოდა, ყველას ეყოფოდა თუ არა ხორცი. ასეთ, მართლაც და, უხერხულ მდგომარეობაში გ. აბუაშვილმა მოქალაქეს, რომელსაც არც წიგნაკი ჰქონდა და არც მაღაზიით საარგებლობის უფლება, „საკუთარი ფონდიდან“ 41 კილოგრამი საქონლის ხორცი გაუჩინა. ჩანს გარიგება წინასწარ მოხდა, 82-ის ნაცვლად გ. აბუაშვილმა მუშტარს 125 მანეთი გამოართვა, და წარბიც არ შეუხრია, ისე ჩაიჯიბა მოგება — 43 მანეთი. როგორია, არცთუ რთული ოპერაციის შედეგად, ისიც ინვალიდების ხარჯზე, 43 მანეთი!.. ალბა, ვინ დაიჯერებს, რომ ეს ოპერაცია გ. აბუაშვილის პირველი ნაბიჯი იყო. ჩანს გამყიდველი სხვისი ლუკმით საარგებლობასა და მომხვეჭელობაში საკმაოდ იყო გაწაფული. დამნაშავე საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა. მაგრამ ნუთუ დირექტორს არ უნდა სცოდნოდა მის მაღაზიაში რა ხდებოდა? ამბობენ, ამ დროს არ ეცალო. ჩვენი აზრით, მეთვალყურეობა და კონტროლი სწორედ მაშინ არის საჭირო, როდესაც მაღაზიაში ამა თუ იმ პროდუქტის ან საქონლის რეალიზაცია ხდება, ცარიელ თაროებს კი კონტროლი, ალბა რათ სჭირდება? ასე რომ, მაღაზიის დირექტორის ნ. ბასოშვილს სამსახურიდან განთავისუფლება მართებულია.

...ეს ამბავი ახლახან, 25 ივნისს მოხდა. პეტრე პავლეს სასაფლაოს საყოფაცხოვრებო სამსახურის მოზაიკის საამქროს თანამშრომელმა გურგენ მარტიკიანმა გაბროს ქვისაგან დამზადებულ ფილაში წარწერით და სურათით ნაცვლად 99 მანეთისა და 40 კაპიკისა შემკვეთს 600 მანეთი გამოართვა, ესე იგი, ზედმეტად 501 მანეთი და 60 კაპიკი...

ეს შემთხვევა კი შედარებით ადრე, პირველ კვარტალში მოხდა. მთავარ გმირად მზა ტანსაცმლის სექციის გამგე მარიამ კიკვაძე გვევლინება. მარიამმა ბევრი იფიქრა, და ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდა, რაღა ყოველთვის სახელმწიფო საქონლის გაყიდვაზე ვიზრუნო, ზოგჯერ „შავი თუ კარგი დღისათვის“ შემონახულ საკუთარ საქონელსაც მივხედოო და აი, ერთ მშვენიერ დღეს სექციაში პირადი „ფონდიდან“ ქალის 2 პალტო შეიტანა, ერთი მაშინვე ერთ-ერთ მოქალაქეს 450 მანეთად მიჰყიდა და მეორე მუშტრის მოლოდინში რომ იყო, მაშინ წაასწრეს დანაშაულზე. მერე არ იკითხავთ, კიკვაძემ ერთ პალტოო რამდენი მოიგო? 170 მანეთი! ეს ხომ საკმაოდ კვალიფიციური სპეციალისტის ერთი თვის ხელფასია.

თბილისის ოქტომბრის რაიკვებავაჭრობის № 1 მაღაზიის სექციის გამგეს შალვა კახაბერს სახელმწიფო ქონება შემოეხარჯა და მის დაფარვაზე ფიქრში გამოსაგალასაც მიაგნო, სექციაში დაუდგენელი პირისაგან სახელმწიფოსათვის მოპარული 143 ბოთლი „ვარციხე“ შეიტანა და იმის ანგარიშში იყო, რა თანხას მოიგებდა, როცა თავზე დაადგნენ მილიციის მუშაკები.

რა თქმა უნდა, ოპერაცია „ვარციხე“ ჩაიფუშა.

ჩვენ აქ მკითხველის სამსჯაროზე გამოვიტანეთ მომსახურების სფეროში მომხდარი დარღვევების რამდენიმე ფაქტი, მათი რიცხვი ბევრად უფრო დიდია, უბრალო ჩამთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარაზიტები და ზურბელები, მშრომელი კაცის სულსა და ჯიბეში რომ ძვრებიან და ოჯახის ბიუჯეტს ღრღნიან, იმაზე გაცილებით მეტია, ვიდრე კომუნისტური წესრიგისათვის მებრძოლ ქალაქში უნდა იყოს.

ამბობენ, აქლემისა და ნემსის ქურდი ორივე ქურდიაო. ამ თქმაში არის გარკვეული ჭეშმარიტება, მაგრამ, ალბა განსაჯეთ, კაბაკისა და ათასების დამტაცებელს ერთნაირად უნდა მივუზღოთ? ზოგჯერ ლიფსტებს უფრო დავდევთ, ვიდრე მორევში მონავარდე ლოქოებს.

გ. ნაცვლიშვილი,
ქ. თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ვ. გაბელია,
„კომუნისტის“ კორ.

ვაჭრობა, მომსახურება, მომხმარებელი

ისინი ხომ სამშობლოსთან ერთად ჩვენს სიცოცხლეს იცავდნენ. და, ალბა, როგორ შეიძლება დღეს უკვე ჭალარამოსილ, ომის ქარცეცხლში გამოვლილ ადამიანებს, რომლებმაც მტერზე გაიმარჯვეს და შინ დაგვიბრუნდნენ, ზოგი შეაქციო, ულუფა წაართვა და მერე რისთვის? იმისთვის, რომ ზოგიერთმა ვიგინდარამ ჯიბე გაისქელოს და მათი ლუკმა გამდიდრების წყაროდ გაიხადოს?

დღეს ქალაქში არაერთი სპეციალურ მაღაზიას შეხვდებით. სამამულო ომის მონაწილეებსა და ინვალიდებს თავისუფლად შეუძლიათ შეიძინონ სურსათ-სანოვაგე, მზა ტანსაცმელი, ფეხსაცმელი. ერთ-ერთი ასეთი მაღაზია, № 38, ოქტომბრის რაიისუსრსათვაჭრობის სისტემაში შედის. აქ არსებული დარღვევები ბევრისთვის იყო ცნობილი. და ან, ერთ-ერთი სარწმუნო წყაროს საფუძველზე, თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილებამ 2 ივლისს შემოწმება მოაწყო. ხორცის გამყიდველს გ. აბუაშვილს მაღაზიაში იმ დროს მიუსწრეს, როცა იგი საკუთარი ხელმძღვანელობს, რომ კომუნისტების აზრთა სხვადასხვაობის დაძლევა შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, ეს არ არის პრინციპული აზრთა სხვაობა რევოლუციონერებსა და რეფორმისტებს შორის, შემოქმედებითს მარქსიზმსა და დოგმატურ სექტანტობას, ცრუმემარცხენულ ავანტიურიზმს შორის. აქ, რასაკვირველია, კომპრომისი დღეს ისევე შეუძლებელია, როგორც ლენინის დროს. მაგრამ, როცა კომუნისტები იბრძვიან საერთო რევოლუციური საქმისათვის, მაშინ ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ განსხვავებულ შეხედულებათა და პოზიციათა მოთმინებით, ამხანაგურად განხილვა საუკეთესოდ შეეფადება მათ საერთო მიზნებს“.

წიგნის ფურცლებზე ყოველმხრივ არის განხილული თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, ახალგაზრდა განვითარებად სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხები. ეს ქვეყნები, აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, ფრიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ზოგი მათგანი კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების შემდეგ დაადგა რევოლუციურ-დემოკრატიულ გზას, ზოგმა დამკვიდრდა კაპიტალისტური ურთიერთობა. არიან ისეთებიც, რომლებიც კიდევ მისჩაჩალებენ იმპერიალიზმის პოლიტიკას. მაგრამ საერთოდ და მთლიანად უკვე გარკვევით დასტურდება ლენინის გენიალური წინასწარმეტყველება იმის თაობაზე, რომ „მსოფლიო რევოლუციის გადამწყვეტ ბრძოლებში დედამიწის მოსახლეობის უმრავლესობის მოძრაობა, თავდაპირველად ეროვნული განთავისუფლებისაკენ მიმართული, ბევრ იბრუნებს კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ...“.

თანამედროვეობის ბევრი ძირეული პრობლემის გადაწყვეტაში სოციალიზმის ბუნებრივი მოკავშირენი არიან არა მარტო სოციალისტური ორიენტაციის ქვეყნები, არამედ, მაგალითად, უკვე დიდ ძალად ქცეული მეუშბრობლობის მოძრაობაც. მშვიდობის განმტკიცებისათვის, ახალი მსოფლიო ეკონომიკური წყობილების შექმნისათვის, ნეოკოლონიალიზმისა და იმპერიალისტური „ხარბაზნების პოლიტიკის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, მსოფლიო პოლიტიკის სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხთა გადაწყვეტაში სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები და ახალგაზრდა სახელმწიფოები სულ უფრო ხშირად გამოდიან საერთო ან მსგავსი პოზიციებიდან. ასეთ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის ურთიერთობა სულ უფრო ინტენსიური და მჭიდრო ხდება. ამას საუცხოოდ ასახავს კრებულის შინაარსი. ეს კიდევ ერთხელ თვალსაჩინოდ მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკა არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ ყველა მშრომელი ადამიანის, ჩვენი პლანეტის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესებს გამოხატავს! ჩვენი პარტია და სახელმწიფო, რომლებიც იჩენენ ახალ სამშვიდობო ინიციატივებს, ავითარებენ და აკონკრეტებენ მშვიდობის პროგრამას, ასეთი ფართო საერთაშორისო აღიარება რომ მოიპოვა, თანამიმდევრულად იბრძვიან მთელი კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის. „ჩვენი ბრძოლა მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების გაღრმავებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ბრძოლაა იმისათვის, რომ საბჭოთა ხალხს შეეუქმნათ მის წინაშე დასახული აღმშენებლობითი ამოცანების გადაწყვეტის საგარეო პირობები. ამით ჩვენ ეწყვეტთ ნამდვილად მსოფლიო ხასიათის პრობლემას, რადგან დღეს არც ერთი ხალხის წინაშე არ დგას უფრო არსებითი, უფრო მნიშვნელოვანი საკითხი, ვიდრე მშვიდობის შენარჩუნება, ვიდრე ყოველი ადამიანის უპირველესი უფლების — სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფაა“.

2.

ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებში ნოვატორულად არის დასმული საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემები. იგი ღრმად არის მოფიქრებული დ მეცნიერულად დასაბუთებულ , ახასიათებს კრიტიკულობა, მ ზანსწრაფვა, დიდი ბრუნვა მშრ ელი ადამიანის კეთილდღეობის ...ვის.

მომჭირნეობა კომუნისტური თვისებაა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკურმა საკოორდინაციო საბჭომ თავის სხდომაზე განიხილა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების მშრომელთა ეკონომიკური განათლების საბჭოების ამოცანები „ნედლეულის, სათბობ-ენერგეტიკული და სხვა მატერიალური რესურსების დაზოგვისა და რაციონალური გამოყენებისათვის მუშაობის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციის საქმეში. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პოლიტ-ეკონომიის კათედრის გამგემ, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ლ. ლ. ჩიკავამ.

მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო, რაიონულ, დარგობრივ და ადგილობრივ საბჭოებს წინადადება მიეცათ შექმნან მიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციის საქმეში. ამ საკითხზე ინფორმაცია გააკეთა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მთელ მრავალმხრივ მოღვაწეობას, მკაფიოდ აისახა ამას წინათ პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობის მიერ გამოშვებულ მის ახალ წიგნში. კრებულის მერვე ტომში შეტანილი სიტყვები, მისალმებები და სტატიები მოიცავს დიდმნიშვნელოვან და რთულ, მოვლენებით აღსავსე პერიოდს — 1979 წლის აპრილიდან 1981 წლის აპრილამდე, სკკპ XXVI ყრილობის საშზადისისა და მოწყობის დროის ჩათვლით, და დამჯერებლად გვიჩვენებს ლ. ი. ბრეჟნევის ფასდაუდებელ პირად წვლილს პარტიის პოლიტიკაში, ჩვენი ქვეყნის წინსვლაში კომუნისტური მშენებლობის გზით, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალური პროგრესის დამკვიდრებისათვის ბრძოლის დიდ საქმეში.

1.

როგორც თავის ნაშრომებში აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, ჩვენი დროის ყველაზე მწვავე, საჭირბოროტო და ყველაზე პასუხსაგები ამოცანაა მშვიდობის შენარჩუნება, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცება, უგუნური, მფლანგველური გამალებული შეიარაღების შეწყვეტა, ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. „ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ამასწინანდელ სესიაზე, რომელმაც მიიღო მიმართვა „მსოფლიოს პარლამენტებისა და ხალხებისადმი“, განსაკუთრებით ცხადად გვესმის, რაოდენ დიდია ეს პასუხისმგებლობა. ჩვენ შევიძინეთ მძიმე გამოცდილება გერმანელ ფაშისტ აგრესორთა განადგურებისათვის ომში“. ეს ისტორიული გამოცდილება, რომელიც ძალზე ძვირად დაგვიჯდა, საშუალებას გვაძლევს გავაორკეცოთ, გავასამკეცოთ მუშაობა მშვიდობის დასაცავად, რომლითაც სოციალიზმი — მშვიდობიანი აღმშენებლობის საზოგადოება თავისი ბუნებით ისედაც სისტხორცეულად არის დაინტერესებული.

განხილულ პერიოდში საერთაშორისო ვითარება მკვეთრად გართულდა. იმპერიალიზმის აგრესიულმა წრეებმა უკიდურესად გაამწვავეს საერთაშორისო ატმოსფერო, სურთ შეაჩერონ ისტორიული პროგრესის განვითარება, მსოფლიო დაუბრუნონ „ცივი ომის“ შავბნელ ხანას. ამის მიზეზები ღრმად გაანალიზა სკკპ XXVI ყრილობამ, ისინი გაშუქებულია ლ. ი. ბრეჟნევის მთელ რიგ გამოსვლებში.

70-იანი წლების მეორე ნახევარში კაპიტალიზმს მორიგი კრიზისის ხანა დაუდგა. შეუნელებლად იზრდება ინფლაცია, კვლავ არნახულად მაღალ დონეზეა უმუშევრობა. ამავე დროს მუშათა კლასი, მშრომელი მასები სულ უფრო მტკიცე წინააღმდეგობას უწევენ ბონაპოლიტებისა და ბურჟუაზიული სახელმწიფოების ცდებს, რომ კრიზისის მთელი სიმძიმე მშრომელ ხალხს დააკისრონ. 1980 წელს, ოფიციალური მონაცემებითაც კი, განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში გაფიცულთა რიცხვმა მეთოხეულ მილიარდს მიაღწია. საერთაშორისო ვითარების გამწვავებით, გამალებული შეიარაღებით ცდილობენ იმპერიალისტური წრეები გამონახონ გზები, რათა თავი დაღწიონ უსაშველო წინააღმდეგობების მარწუხებს. თანაც მათ ჰგონიათ, რომ თავის სასარგებლოდ შეცვლიან მსოფლიონი არსებულ ძალთა თანაფარდობას და გარდატეხას მოახდენენ ისტორიის მსვლელობაში.

სკკპ XXVI ყრილობაზე გაკეთებულ მოხსენებაში მკაფიოდ არის დახასიათებული ეპოქის ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციები, მსოფლიო ასპარეზზე მოწინააღმდეგე ძალთა სულ უფრო მკვეთრი გამიჯვნა. „საერთაშორისო თვალსაზრისით, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საანგარიშო პერიოდი რთული და მძაფრი იყო. იგი აღინიშნა, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო პოლიტიკაში ორი მიმართულების ინ

სასკოლო მშენებლობა

დამკვრელური უბანია

ნუთუ წელსაც არაფერი ეშველება?

როცა პარტიის ორჯონიკიძის რაიკომის მეორე მდივანმა ჰ. შარიქაძემ ჩვენი სტუმრობის მიზანი მეიტყო, თავი უსიამოვნოდ გავაკენი და მაგიდაზე საგულდაგულოდ აკინძული სქელი საქაღალდე დადო. ამ ოთხწლიანი მინერ-მოწერის თავისებური მატიანიდან ყველაზე ახალი და ავტორიტეტული დოკუმენტი გავაცნოთ მკითხველს, ეს გახლავთ რესპუბლიკის ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილება, რომელშიც ვკითხულობთ: „მშენებლობის სამინისტროს № 9 ტრესტმა (ამხ. გეორგიულმა) საექსპლოატაციოდ გადასაცემი სკოლე ბ ი ს მ შ ე ნ ებლობაზე გეგმა 112 პროცენტით შეასრულა, მაგრამ ქარელის რაიონის სოფელ კეხოჯვრის 408-ადგილიანი სკოლის მშენებლობაზე შესრულებამ შეადგინა 63 პროცენტი, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ წიფის 288-ადგილიან სკოლაში კი, რომლის მშენებლობა ასევე საექსპლოატაციოდ გადაცემა ორიოდ წლამდე ჭიანურდება, სამუშაოები საერთოდ არ შესრულებულა...“

ყველაფერი კონკრეტულად და ლაკონურად არის ნათქვამი. ბუნებრივია, ამის შემდეგ რაიონის ხელმძღვანელობის მიერ სხვადასხვა ინსტანციაში გაგზავნილი წერილების გაცნობა საგულისხმოს ვერას გვეტყოდა და მშენებელ სკოლის სანახავად წასვლა გვიჯობინეთ. თავს, ცოტა არ იყოს, უხერხულადაც ვგრძნობდით. წიფაში შარშანაც ვიყავით, მშობლების და პედაგოგების გულისტკივილი მოვისმინეთ და „კომუნისტში“ გამოქვეყნდა კიდეც წერილი „მხოლოდ საძირკველი“ (1980 წლის 23 აგვისტო), მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვი...

შარშანდელის შემდეგ ბევრი არაფერი შეცვლილა წიფაში. მხოლოდ პირველი სართულის კედლების წყობა მოუმთავრებიათ. ეს არის და ეს. კვლავ უქმად იდგა ამწე და მისი მამაძაღლე ჯ. ბესაბრინი საუბრით ირთობდა თავს. თუმცა მას რა ენაღვლება, მექანიზმის ქირაც და ხელფასიც საათობრივად უნაზღაურდება.

ბევრი მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ მივაგენით სამუშაოთა მწარმოებელს ზ. ტატიშვილს. სირცხვილით, ალბათ, სულაც არ უნდოდა გამოჩენა, გასული წლის საგაზეთო მასალებიც ხომ მან მოგვაწოდა. ახალგაზრდა ინჟინერი უფრო მეტ უხერხულობაში ჩაარდა, როდესაც მუშახელის ამბავი ვკითხეთ. ან კი რა უნდა ეთქვა. თურმე იმ დღეს მუშებს მარტის ხელფასს აძლევდნენ. სულ ცოტა სამი თვის დაგვიანებით, არც მეტი, არც ნაკლები.

თავის მართლების სხვადასხვა ხერხს მიმართა № 9 სამშენებლო ტრესტის ხაშურის № 1 სამმართველოს თანავარმა ბუღალტერმა ე. კოპაძემ, მაგრამ ხელფასების გაცემის კანონის ასეთი უხეში დარღვევისათვის ამგვარი ხერხი, ვიჭვობთ, საშველი იყოს მისთვის.

— არავითარი პირობები არა გვაქვს — თქვეს საუბრისას მუშებმა, — არც სასადილოა, არც ოდის გასათევი და არც ტრანსპორტი მგზავრობისათვის. ბუნებრივია, ასეთ პირობებში მშენებლობაზე არავინ ჩერდება და ამიტომ მოვუნდით სამი წლის განმავლობაში ერთი სართულის აგებას. პროექტით ახალი სკოლა სამსართულიანი უნდა იყოს და დანარჩენი ახლა თვითონ განსაჯეთ...

მოუხელთებელი აღმოჩნდა ხაშურის № 1 სამშენებლო სამმართველოს უფროსი რ. ბარბაქაძე. იგი ხან გორშია გამოძახებული ტრესტში, ხანაც სხვა რაიონებში მშენებარე ობიექტებზე, მხოლოდ წიფის სკოლის მშენებლობისათვის ვერ ნახულობს დროს...

არც სოფლის თავკაცების პოზიციაა მაინცდამაინც მოსაწონი. აქაურები შესანიშნავი კალატოზები და დურგლები არიან, მაგრამ სამუშაოდ სხვა რაიონებში, ზოგჯერ რესპუბლიკის გარეთაც კი მიდიან. ამის მაგალითად სამუშაოთა მწარმოებელმა დაასახელა აგურის წყობის საუკეთესო სპეციალისტი ს. ჩიტაძე. მას მოელაპარაკნენ კიდეც აკორდული ანაზღაურებით მუშაობაზე. საქმესაც მოჰკიდა ხელი, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ რაიონს გარეთ წავიდა სამუშოდ. ერთი მხრივ, თითქოს ვერც გამტყუნებ — მარტის ხელფასს რომ ივნისამდე არ მისცემ კაცს, რა გასაკვირია, თუ შენს სიტყვას აღარ ენდობა, მაგრამ საკუთარი სოფლისადმი პატრიოტული გრძნობაც ხომ უნდა გქონდეს?

სხვა მიზეზებიც არის. ერთ წელზე მეტია წიფის საშუალო სკოლას დირექტორი არ ჰყავს. ერთი სიტყვით, მკვიდრი გულშემატკივარი არ ჩანს და ესეც ძალიან ვნებს საქმეს. ალბათ ამის გამოა, რომ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ვ. ცუცქირიძე საგანგაშოდ არ ხდის ამ შეუწყნარებელ გულგრილობას.

წიფა იმერეთის ერთ-ერთი ლამაზი სოფელია, მაგრამ აქაურებს თვალი მაინც სხვაგან გაურბით. გული იმიტომაც არ უდგებათ, რომ ისინი ხშირად თავიანთ შვილებს სხვა რაიონებსა და მეზობელ სოფლებში გზავნიან სასწავლებლად. სკოლის ძველი შენობის ავარიულობის გამო მოსწავლეთა კონტინგენტი ყოველწლიურად კლებულობს. სურამის ციხის მსგავსად თუ ასე დაუსრულებლად გაჭიანურდა მშენებლობა, ალბათ კლასების დაკომპლექტებაც საეჭვო გახდება.

არ გაგვიმტყუნება, თუ ვიფიქრებთ: წიფის სკოლას ასე გულსატკენი პერსპექტივა არ ექნებოდა, ხაშურის № 1 სამშენებელო სამმართველო რომ იყოს დაკომპლექტებული ისეთი ხელმძღვანელებით, რომელებისთვისაც ზემდგომი ორგანოების დადგენილებებსა და მითითებებს კანონის ძალა ექნება; ხოლო საერთო-სახალხო საქმეზე ზრუნვა ლიტონი სიტყვა კი არა, საკუთარი ღირსების, პრესტიჟისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის უმთავრესი საზომი გახდება.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ ხაკ. კორ.

საპატიო წოდების მინიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით კულტურის დაწესებულებებსა და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის კულტურისა და განათლების განყოფილების უფროს რეფერენტს ამხ. ვენო შოთას ძე **გადილიას** „საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის“ საპატიო წოდება მიენიჭა.

საერთაშორისო დედაქალაქის ზურგზე
საბჭოთა ცხოვრება

საკდესისა და ახალი ამბების საagენტოს კორესპონდენტები გვაცნობინებენ

18 ივლისი

● აშშ

შთანთქმო

ჟურნალისტური ექსპედიცია 1783 1983 27 VI 81

გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავისადმი მიძღვნილ ჟურნალისტურ ექსპედიციას ფართოდ ეხმაურება მკითხველი. რედაქციაში მოდის წერილები, რომლებშიც გამოთქმულია კეთილი სურვილები, წინადადებები და მოსაზრებები. სარედაქციო ფოსტიდან გთავაზობთ ორ გამოხმაურებას. თბილისის 77-ე სკოლის პედაგოგის ი. კაკაბაძის წერილსა და პროფესორ ბ. ტოგონიძის სტატიას.

ჩვენი ვალდებულებანი

თუმცა ამჟამად არდადეგებია და განათლების დარგის მუშაკები შვებულებაში არიან, საბჭოთა კავშირის საბალხო მასწავლებელი, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი გრიგოლ კობახიძე არსად წასულა — სკოლაში კაპიტალური რემონტი მიმდინარეობს, ამასთან ერთად ასათვისებელია ოთხი ათასი მანეთი კაბინეტ-ლაბორატორიების გასამდიდრებლად. ეს თანხა განათლების სამინისტროომ სკოლას გარდამავალი წითელი დროშის ზედიზედ მეორედ მოპოვებისათვის გადასცა. მასწავლებლებიც სპასტიო სიგელებითა და 2800 მანეთი ფულადი პრემიით დაჯილდოვეს. ასეთმა დაფასებამ მეტი ენერგია და მონდომება შეგვმატა.

ამჟამად სკოლის სამუშაო გეგმაში შეტანილია კონფერენციის მოწყობა თემაზე — „ჟურნალისტური ექსპედიცია გეორგიევსკში". ამ მიზნით შეიქმნა კომისია სკოლის დირექტორის გრ. კობახიძის, პარტბიუროს მდივნისა და ისტორიის მასწავლებლის მ. ხუნდაძის, სკოლის ბიბლიოთეკის გამგის ნ. ნადარეიშვილის, შრომის მასწავლებლის ზ. ეფიშერაშვილის და ჩემი შემადგენლობით. შედგენილია სამუშაო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ექსპედიციის ყველა მონაწილის მოწვევასა და მათთან შეხვედრას, სკოლაში, ბიბლიოთეკაში, ისტორიისა და გეოგრაფიის კაბინეტებში, სათანადო კუთხეების მოწყობას, სტენდის გაკეთებას სკოლის დერეფანსა და ახალ საპტო დარბაზში. „კომუნისტის" მასალების გაცნობას თითოეული მოსწავლისათვის.

როგორც ცნობილია, ჟურნალისტური ექსპედიციის გზა 2400 კილომეტრს მოიცავს და 35-40 დღეს ითვალისწინებს. ამდენად „კომუნისტში" პერიოდულად დაიბეჭდება უამრავი მასალა და მათი ყველა ნომრის გამოფენა დიდ ფართობს მოითხოვს, რაც წინასწარ იქნა გათვალისწინებული, დღეისათვის უკვე გადაიდგა სათანადო ნაბიჯები. სკოლის სახელოსნოში მზადდება ჟურნალისტური ექსპედიციის მარშრუტის გადიდებული სქემა, რომელიც მოიცავს საქართველოს, კავკასიის და ქვემო ვოლგისპირეთს. ბიბლიოთეკა ადგენს ექსპედიციისადმი მიძღვნილ ალბომს. სკოლის სახელოსნოში მზადდება სათანადო ჩარჩოები სტენდის მაღალხარისხოვნად გაფორმებისათვის.

ვფიქრობთ, ექსპედიციის მასალები დიდად დაინტერესებს ჩვენს ახალგაზრდობას და შესამჩნევი წვლილი იქნება მის ინტერნაციონალური აღზრდის საქმეში.

ი. კაკაბაძე,
თბილისის 77-ე საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი.

ტრადიცია გრძელდება

ეს პატარა ოქრომჭედელი ჯერ ათი წლისაა, მაგრამ თუ გადახედავთ მის მიერ შესრულებულ ნამუშევრებს, უთუოდ გაოცდებით. ყოველი მისი ნახელავი სინატიფით და გემოვნებით გამოირჩევა. მთავარი კი ის არის, რომ მათში ჩანს ბავშვური უშუალობა.

პატარა ოსტატის მიერ გრეხილით, გავარსით და ცვარით შესრულებული ვერცხლის ბეჭდები, სამაჯურები ეროვნული კოლორიტითაც გხიბლავთ. საქმე იმაშია, რომ პატარა კობა საქართველოში ცნობილი ოქრომჭედლის კარლო ჭუთათელაძის გვარის გამგრძელებელი და მოწაფე გახლავთ. იგი თბილისის № 129 საშუალო სკოლის მე-6 კლასის მოსწავლეა და წელს, როგორც ნიჭიერი ბავშვი თბილისის სბავშვო სამხატვრო სკოლაში ჩარიცხეს.

ტრადიციულად ოქრომჭედლების ოჯახებში შვილები აგრძელებდნენ ხოლმე მამების ხელობას და კარგია, რომ ჩვენში დღესაც ასეა.

ს. კილაძე,
ავტორის ფოტო.

სურათებზე: ნორჩი ოქრომჭედელი კობა ჭუთათელაძე და მისი ნამუშევრები.



ქომუნისტი

საკვირველ საკითხთა

ეროვნული ... ეროვნული

ყაბალი

„...სამხრეთამერიკელ ბურთის ჯადოქრებს მოგვაგონებენ"

ავსტრიის კომპარტიის ცენტრალურმა ორგანომ — გაზეთმა „ფოლქსშტიმმე" 15 ივლისის ნომერში კიდევ ერთი წერილი დაუთმო გრაციის კლუბების („გრაციერ აკ" და „შტურმის") მომავალ მეტოქეებს ქვეყათაურით: „თბილისის „დინამოსა" და მოსკოვის ცსკა-ს სახით ვიხილავთ ორ სრულიად განსხვავებულ გუნდს".

აი, რას წერს გაზეთი: „მართალია, ციურიხში გამართულ ევროპის ტურნირების წილისყრას მხოლოდ შემთხვევითობა განაგებდა, მაგრამ სწორედ მისი „წყალობით" გრაციის ორივე გუნდს პირველ წრეში საბჭოთა კლუბები ეყოლება მეტოქედ. ის, რომ „გრაციერ აკი" (თბილისის „დინამოს" წინააღმდეგ) და „შტურმიც" (ცსკა-ს წინააღმდეგ) აშკარა აუტსაიდერებად უნდა ჩაითვალონ, თუნდაც ამ კლუბების მიერ მოპოვებული მედეგებით დასტურდება.

თბილისელები საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონები არიან, ცსკა — ექვსგზის. ამ „ნადავლს" გრაციერები ვერაფერს დაუპირისპირებენ, თუმცა „შტურმმა" ახლახან დამთავრებულ ეროვნულ ჩემპიონატში მხოლოდ ბოლო ტურში გაუშვა ხელიდან ოქროს მედლები, რომლებიც თითქმის ჯიბეში ედო. ასეთივე სურათითა ეროვნული თასების გათამაშებებიც: „დინამო" — ორი გამარჯვება, ცსკა — ოთხი. გრაციერებს მხოლოდ ერთი გამარჯვება შეუძლიათ დაიკვეხონ: „გრაციერ აკი" — 1980-81 წლები.

დინამოელები, რომლებმაც 1980-81 წლების სეზონში კიეველი თანაკლუბელების შემდეგ (1975 წ.) სსრ კავშირში მეორედ ჩაიტანეს ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, თამაშის ყაიდით სამხრეთამერიკელ ბურთის ჯადოქრებს მოგვაგონებენ. ამაში ფეხბურთის ის გულშემატკივრებიც დარწმუნდებოდნენ, რომლებმაც ტელევიზიით იხილეს, თუ როგორ სძლიეს თბილისელებმა დიუსელდორფის ფინალში იენის „კარლ-ცაისი". უაღრესად დახვეწილი ტექნიკა, ფინტები, იმპროვიზაცია, კომბინაციები და სამხრეთული ტემპერამენტი — აი, რა ახასიათებს ქართველთა თამაშის სტილს.

მწვრთნელმა ნოდარ ახალკაცმა, რომელიც ამ პოსტზე 1976 წლიდან იმყოფება, გაზრდილი ათლეტური დატვირთვის შემწეობით შექმნა უმაღლესი ევროპული კლასის გუნდი. „დინამოს" ჰყავს კარგი მეკარე (ოთარ გაბელია), ძლიერი დაცვა (ალექსანდრე ჩიკვაძე და თენგიზ სულაქველიძე) და, გარდა ამისა, ისეთი დიდებული მთამაშეები, როგორიც არიან დავით ყიფიანი, რამაზ შენგელია, ვიტალი დარასელია და ვლადიმერ გუცაევი. ყველა დასახელებული ფეხბურთელი სსრ კავშირის ნაკრების წევრი ან კანდიდატია. 1981 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი სპორტული წოდება — სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მოიპოვა, არც მეტი არც ნაკლები, ათმა დინამოელმა".

ცსკას ეთმობა წერილის ბოლო აბზაცი, რომელშიც ლაპარაკია იმის თაობაზე, რომ, თუმცა, ეს გუნდი წარსულში გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე დღეს, მისი შეუფასებლობა მაინც არ შეიძლება. მოვიყვანთ ბოლო ციტატას ამ წერილიდან: „დინამოსგან" განსხვავებით, ცსკა ათლეტურ თამაშს მისდევს. მის შემადგენლობაში არ არიან ისეთი ვარსკვლავები, როგორც ქართველებს ჰყავთ, მაგრამ ცსკაშიც თამაშობენ კარგი ფეხბურთელები"...

დ. კაკაბაძე.

საკავშირო ჩემპიონატებზე

უმაღლესი ლიგა

გუშინ მოსკოვის „დინამოსა" და „ყუბანის" მატჩით დაიწყო უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის ოცდამეერთე ტური. ეს შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 4:2 მოსკოვის დინამოელთა სასარგებლოდ.

დღეს ოცდამეერთე ტურის დანარჩენი მატჩები გაიმართება. „ნეფთჩი" მასპინძლობს კიევის „დინამოს", დონის როსტოვის არმიელთა გუნდი — „ჩერნომორეცს", „ყირათი" — „ტორპედოს", „ფახთაკორი" — ცსკას, „ზენიტი" — „არარატს", „სპარტაკი" — „ტავრიას", მინსკის „დინამო" — თბილისის „დინამოს".

პირველი ლიგა

დამთავრდა პირველი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. გუნდებმა 23-23 შეხვედრა გამართეს და მეორე წრის წინ გათამაშების ცხრილში შემდეგი თანმიმდევრობით არიან განლაგებულნი:

	მ	ფ	წ	ბ	ქ
„მეტალისტი"	13	6	4	33-14	32
„ კოლოსი"	11	5	7	31-22	27
„ლოკომოტივი"	10	7	6	29-19	27
„პამირი"	10	6	7	28-19	26
„ისკრა"	10	6	7	20-16	26
„შინიკი"	9	8	6	31-26	26
„ფაკელი"	10	5	8	24-17	25
„ნოხტრუ"	10	5	8	24-23	25
„ფალგარეხი"	9	7	7	20-20	25
„სპარტაკი" (ეს)	8	9	6	19-18	25
ასკ (ოდ)	7	11	5	26-20	25
„ტორპედო"	11	2	10	24-25	24
ასკ (კ)	8	6	9	30-32	22
„ფურია"	7	8	8	20-22	22
„ზარია"	5	12	6	15-17	22
„კარპატი"	8	5	10	23-28	21
„მეტალურგი"	7	7	9	25-28	21
„დინამო"	7	7	9	20-26	21
„ტრაქტორი"	6	9	8	21-23	21
„ კუზბასი"	7	6	10	20-24	20
„პრიკარპატიე"	7	5	11	28-28	19
„სპარტაკი" (ორ)	6	7	10	13-21	19
ასკ (ხბ)	7	4	12	17-28	18
„ბუხტონი"	5	8	15	18-33	18

პირველ ლიგაში მეორე წრის მატჩები დაიწყება 1 აგვისტოს.

სატურნირო ორბიტა

ველოსპორტი. მოსკოვში მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში სპრინტერთა რბოლა მოიგო ტულემა სერგი კოპილოვმა. აქ თავი ისახელა თბილისელმა ემზარ გელაშვილმა, რომელმაც მხოლოდ კოპილოვთან წააგო ასპარეზობა და ვერცხლის მედალს დაეუფლა.

ბაკრაკი. პოლონეთის ქალაქ ლიუბლიანის მახლობლად მდებარე დაბა ნალენჩიკში გრძელდება ვაჟთა საერთაშორისო შეჯიბრება. 7 ტურის შემდეგ 5,5-5,5 ქულით ლიდერობენ თბილისელი დავით გედევანიშვილი და ანჯელუჩაკი (პოლონეთი). მეშვიდე ტურში გედევანიშვილმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ დიდოსტატ ნ. პადევსკისთან.

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი.

ეწვიეთ

მთის რაჭას

ფართო გზა ტურიზმს!

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ 1980 წლის დეკემბერში მიიღეს დადგენილება „ქვეყანაში ტურისტულ-საექსკურსიო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის შესახებ".

ჩვენში ტურიზმის განვითარებისათვის შეტად პერსპექტიულია მთის რაჭა, სადაც ჩრდილო კავკასიიდან ორი საკავშირო მარშრუტი გადმოდის — დასავლეთით ფასის მთაზე, მდინარე რიონის სათავეებში და აღმოსავლეთით — მამისონის უღელტეხილზე, კურორტ შოვში. ჩვენი აზრით, ფრიად ხელსაყრელი პირობებია კიდევ ერთი ტურისტული მარშრუტისათვის ჩრდილოეთიდან, ურუხის ხეობიდან, კირტიშოს (ანუ გები-ვცეკ) უღელტეხილზე (ზღვის დონიდან 3461 მეტრი), გადმოვალთ მდინარე ჩვეშურას ხეობაში. ამ გზით მრავალი ტურისტი კეთილმოწყობილი ბაზიდან გადმოვალს ურუხიდან 15 კილომეტრიანი ბილიკით ჩვეშურას ხეობაში და შემდეგ სამანქანო გზით 10 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ღებში.

ეს არის ე. წ. კირტიშოს გზა, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა საქართველოს ჩრდილოკავკასიელ მეზობლებთან — დიგორელებთან, ბალყარელებთან, ყარაჩაელებთან. ამ გზით 1724 წელს ვახტანგ VI თავისი ამალით რუსეთს გაიხიზნა. ამავე გზით 1771 წელს რაჭველმა გამყოლებმა სოფელ ღებიდან დიგორში გადაიყვანეს გენერალ ტოტლებენის რაზმი, ცნობილია, რომ 1778 წელს ამ გზით ისარგებლა სპარსეთში მიმავალმა ბესიკ გაბაშვილმა. რით არის საინტერესო ეს გზა, რით მიიზიდავს იგი ტურისტებს? საყოველთაოდ ცნობილია მთის რაჭის სილამაზე, განსაკუთრებით კი ლამაზია მდინარე ჩვეშურას ხეობა, რომელსაც გზა მიუყვება მთელ სიგრძეზე. მდინარე სათავეს იღებს კირტიშოს ულამაზესი მყინვარიდან, რომელიც ჩაწოლილია კავკასიონის ორ დიდ მწვერვალს — თაიმაზოვცეკის (ზღვის დონიდან 3855 მ.) და ციხვარგას (ზღვის დონიდან 4138 მ) შორის. გარდა ამ მყინვარისა, რომელზეც ბილიკი გადმოდის, განუმორებელ სილამაზეს ქმნის მრავალი დაკიდული მყინვარი და ჩანჩქერი, ალპური მდელოები და ქვემოთ ფოთლოვანი ტყე, რომელიც ფერდობებს ფარავს.

ტურისტებს ძლიერ იზიდავს მინერალური წყაროები, რომლებსაც „ნარზანს" ეძახიან, რაჭველები კი — „ვეძას". სწორედ ამ წყაროებითაც არის ღირსშესანიშნავი ეს ხეობა. ს. ჩიხელიძეს ცნობილ მონოგრაფიაში საქართველოს მინერალური წყლების შესახებ (1961 წ.) ამ ხეობაში აღწერილი და რუკაზე აღნიშნული აქვს 47 მინერალური წყარო, გაცილებით მეტი, ვიდრე საქართველოს რომელიმე უფრო დიდ რეგიონში. ამ ბოლო წლებში კი სოფელ გოანასოან საძიებო ჭაბურღილიდან და შტოლნიდან მიღებულია მინერალური წყლის და ნახშირორჟანგის ძლიერი ნაკადი, რომელიც შესწავლა სჭირდება. მეტი წილი ამ წყაროებისა უშუალოდ „ბასანთან ახლოს არის განლაგებული, გაზიანია და სასმელად შეტად სასიამოვნო გახლავთ.

აღნიშნულ მარშრუტზე მრავალი ღირსშესანიშნავი ობიექტია, რომელთა დათვალიერება არა მარტო ესთეტიკურ სიამოვნებას მიანიჭებს ტურისტებს, არამედ საშუალებას მისცემს მათ ჩვენი ერის შორეული თუ ახლო წარსულის მატერიალურ ძეგლებსაც გაეცნონ.

პირველი — ეს არის კარობის მოლიბდენის საბადო, რომელმაც 30-იან წლებში დასაბამი მისცა საბჭოთა კავშირში მოლიბდენის წარმოებას. მართალია, ეს საბადო უკვე გამოლეულია, მაინც გზიდასაც მისი მდებარეობა დიდ მთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

საქართველოში ბრინჯაოს ნივთების დიდი გავრცელება მთის ადგილობრივ წარმოებაზე მიუთითებდა. თანაც ბრინჯაო კალის ნაცვლად სტიბიუმს შეიცავდა. სტიბიუმის საბადოები უძველესი მაღაროებითურთ ჩვენ მთის რაჭაში ჯერ კიდევ 30-იან წლებში აღმოვაჩინეთ. ამ მაღაროებში ბლომად არის ქვის ჩაქუჩები და მადნის ციკლური წესით დამუშავების ნაშთები. მაღაროთა სიმრავლე კი მიუთითებდა მადნის დიდი რაოდენობით გამოღებაზე. შემდეგში ასეთივე მაღაროები აღმოჩნდა სოფ. გონასთან — ჩხორნალის სპილენძის საბადოში, რითაც დამტკიცდა, რომ ბრინჯაოს გამოდნობისათვის საჭირო ორივე კომპონენტი — სპილენძი და სტიბიუმი ადგილზევე მოიპოვებოდა. ამ მადნებიდან ბრინჯაოს გამოდნობის რამდენიმე კერა მთის რაჭაში ბრილის უნიკალური სამარხების მპოვნელმა არქეოლოგმა გერმანე გობეჯიშვილმა ს. გონას მიდამოებში აღმოაჩინა. აქ სპილენძის კარიერი გადადის მაღაროში. აქვე მრავლად არის წიდა, რაც მადნის ადგილობრივ გამოდნობაზე მიუთითებს. ამ გამონამუშევარს გ. გობეჯიშვილი ძვ. წ. XII-X საუკუნით (გვიანი ბრინჯაოს ხანა) ათარიღებს. აქვე, მდინარის მეორე მხარეს, გზიდან 400 მეტრის მოშორებით, მის მეორეგე აღმოჩენილია ბრინჯაოს წარმოების კვალი — წიდის უზარმაზარი გროვა და მადნის გამოსაწვავი მოედანი ჩამოსასხმელი ყალიბების ნაშთებით და ლითონის ზოდებით.

მეტად საინტერესოა ბგონასთან, ჭყორნალის სპილენძის საბადოში აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანის მაღარო უნიკალური რთული სამთო გამონამუშევრებით, რომელიც თავისი კონსტრუქციული გადაწყვეტით (ვენტილაცია, ქანის მოხგრევა ცეცხლური მეთოდით, ქვის ჩაქუჩების გამოყენება, გამოზიდვა) ბევრად წინ ეუსწრებს მსოფლიოში ცნობილ იმდროინდელ მაღაროებს.

მეორე ასეთივე საინტერესო ორსართულიანი მაღარო აღმოჩენილია მდინარის მარცხენა ნაპირის ფერდობზე.

ამ მაღაროების უნიკალობა დაადასტურა გ. ზულუკიძის სახელობის სამთო მეტალიკის ინსტიტუტის გამოკვლევებმა (ხელმძღვანელი — თ. მუჯირი). ამ გამოკვლევათა შედეგები თ. მუჯირმა მოახსენა სამთო საქმისა და მეტალურგიის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილ ორ საერთაშორისო სიმპოზიუმს — ვარნაში (1975 წ.) და ფრაიბერგში (1978 წ.), რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ჩამოთვლილი უნიკალური მაღაროები შეიძლება გაიწმინდოს, განათდეს, კეთილმოეწყოს და დასათვალიერებლად მისაწვდომი გახდეს, როგორც ეს გაკეთებულია მრავალ ქვეყანაში, თანაც ნაკლებად საინტერესო ობიექტებზე.

მეტალურგიული წარმოების ნაშთების მოედანი აუცილებლად უნდა გადაიხუროს.

ასეთივე არქეოლოგიური მუზეუმ-სტელაჟი შეიძლება მოეწყოს ღია ცის ქვეშ ღების მახლობლად შოშეთში, სამარშრუტო გზიდან, ნახევარი კილომეტრის დაშორებით, სადაც გ. გობეჯიშვილმა აღმოაჩინა გვიანი ბრინჯაოს — ადრე ანტიკური ხანის (XII-X — VI-IV ს.) სამაროვანი. აქ გათხრები ამჟამადაც მიმდინარეობს.

სოფელ ღებთან, ჭზისპირას, მდ. ჩვეშურაზე უნდა აღვადგინოთ წყლის წისქვილი, რომლის მსგავსი წინათ მრავლად იყო სოფლის მიდამოებში, ამჟამად კი — აქა-იქ თუ არის შემორჩენილი. ასევე უნდა აღდგეს წყლის ბორბალზე მომუშავე სახერხი დაზგა და სამეჯლო.

როგორც ვხედავთ, ეს მარშრუტი დღევანდელი მდგომარეობითაც ადვილი ასათვისებელი და მეტად საინტერესოა, საჭიროა მხოლოდ აიგოს ტურისტული ბაზა, და კიდევ უფრო საინტერესო გახდება იგი, თუ ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებს განვახორციელებთ, რაც არცთუ ისე დიდ თანხებს მოითხოვს.

მთავარია, რომ გვაქვს სამანქანო გზა, რომლის გაგრძელება შეიძლება კიდევ 3-4 კილომეტრით, თითქმის ულელტეხილის ძირამდე. საჭიროა მხოლოდ ტურიზმის და ეკსკურსიების სამმართველომ მიდინარე წელს ადგილზევე შეამოწმოს ეს ვარიანტი, რომლის განხორციელება ერთ-ერთი ღონისძიება იქნება გეორგიევსკის ტრაქტატის მოახლოებული 200 წლის თარიღთან დაკავშირებით და გარკვეულ წვლილს შემატებს ჩვენში ტურიზმის განვითარების საქმეს.

გ. ტოგონიძე,
პროფესორი, საქართველოს სსრ დამსახურებული გეოლოგი.

ქართველი კაცი — იტალიელი კინომსახიობი

მუნჯი პერიოდის იტალიურ კინოში დიდი წარმატება მოიპოვა კინომსახიობმა ანდრეა რეხვიევმა, რომელიც ჩვენი თანამემამულე, ქუთაისელი ანდრო რეხვიაშვილი გახლავთ. იგი 1914 წელს წავიდა სწავლის გასაგრძელებლად პეტერბურგში, იქიდან კი — იტალიაში, სადაც თავისი ახალგაზრდობის წლები გაატარა, იტალიაში ჩასულისთანავე ა. რეხვიაშვილი კინოში მიიწვიეს თავისი შესანიშნავი ფიზიკური და სპორტული მონაცემების გამო. ერთ-ერთ ფილმში („ნოსტრადამუსი") 1923 წელს მას წილად ხვდა ცნობილი იტალიელი მსახიობისა და რეჟისორის ფეიბ მარის პარტნიორობა. ამას გარდა, ანდრეა რეხვიევი მთავარ როლებს ასრულებდა ფილმებში „სან-პოლის ოტელი", „ტორვილელი ჩეზარე", „ნეილის კოშკი", „ბურგუნდიელი ჯოვანი" და სხვ.

შემდეგში იგი ჩამოშორდა კინოს და, როგორც სპორტსმენი, განსაკუთრებით გაიტაცა ფარიკაობამ. სწორედ იმდროინდელია იტალიური გაზეთის ერთი გვერდი (ან სარეკლამო აფიშა), იგი მთლიანად ეძღვნებოდა ჩვენს თანამემამულეს და შემორჩა ა. რეხვიაშვილის დედას, რომელსაც კედელზე გაუკრავს შვილის პორტრეტი და მის ქვემოთ მოთავსებული ტექსტი. როგორც ირკვევა, ამ ამონაბეჭდში შემორჩენილი ტექსტის დასაწყისი ეხებოდა იმდროინდელ, იტალიურ კინოში. (იგულისხმება 20-იანი წლების მიწურული) არსებულ კრიზისს, შემდეგ კი ვკითხულობთ:

„...ჩვენ ისევ იმას გავიმეორებთ, რასაც ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ჩვენს კინოს ამ ახალი ალმაფრენისას შეუძლია თავისსავე შესანიშნავ კადრებს დაეყრდნოს თვით იტალიაში და სულაც არ არის საჭირო მათი ძებნა საზღვრგარეთ.

ახალბედა როდია, ვისაც დღეს წარმოგიდგენთ. ანდრეა რეხვიევი ეროვნებით რუსია, მაგრამ კარგა ხანია იტალიაში ცხოვრობს და მრავალ ფილმშია გადაღებული. იგი უაღრესად მომგებიანი გარეგნული მონაცემებით გამოირჩევა. შესანიშნავი აღზრდა-განათლება აქვს მიღებული. მშვენივრად არის მომზადებული და მრავალმხრივი სპორტსმენია. განსაკუთრებით წარმატებები მოიპოვა ფარიკაობაში. ახლახან არისტოკრატთა შორის გამართულ ტურნირზე პიერმონტის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. აი, რას წერს მასზე გაზეთი „პაეზა სპორტივო" („სპორტული გაზეთი"):

„რეხვიევი გამოირჩევა უზადო კეთილშობილებით, აღზრდითა დაქცევით. ერთობ პატივისცემას იჩენს ყიურისა და მეტოქეთა მიმართ. ერთი სიტყვით, ნამდვილი ჯენტლმენია.

დღეს ჩვენს რეჟისორებს ჩვენი კინოს გარდაუვალი ალმაფრენისათვის ჰაერივით სჭირდებათ კეთილშობილი, სპორტული, ახალგაზრდული ძალები. საამისოდ კი საზღვარგარეთს მიმართავენ ხოლმე და ამით ხშირად მწარედ გვიცრუებენ იმედს, რაც ყოველმა ჩვენთაგანმა კარგად ვიცით. ამდენად, ასეთ ვითარებაში სასარგებლოდ მიგვაჩნია რეკომენდაცია გაეუწიოთ რეხვიევს, რომელსაც კარგი რეჟისორის ხელში შეუძლია გამოჩენილ პიროვნებად, პირველხარისხოვან მსახიობად იქცეს".

30-იანი წლებიდან ა. რეხვიაშვილი საფრანგეთში ცხოვრობდა და მთარგმნელობითს მოღვაწეობას ეწეოდა. მეორე მსოფლიო ომში გენერალ დე გოლის არმიაში იბრძოდა და ძალიანაც ეამაყებოდა, რომ თავისი წვლილი შეეტანა ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„მიყვარს საფრანგეთი, — ვკითხულობთ დედისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ ბარათში, — ოთხ წელიწადს ვიომე საფრანგეთისათვის ფაშისტების წინააღმდეგ და თუ კიდევ საჭირო იქნება — გავიმეორებ... მე ჩემს რადიოში ძალიან ხშირად ვუსმენ მოსკოვს, იქიდან გადმოცემული ქართული სიმღერებს და აღტაცებით ვუსმენ „სულიკოს"...

ა. რეხვიაშვილი საფრანგეთში ვე გარდაიცვალა 1973 წელს და იქვე დაკრძალული.

ორი წელია ვმუშაობ ა. რეხვიაშვილის კინომოღვაწეობის შესწავლის საკითხებზე, ჩემი მოსკოველი კოლეგებიც მოვიშველიე, მაგრამ ჯერ ვერც ერთ მის ფილმზე ან თუნდაც რაიმე ფრაგმენტზე ვერ მიმიწვდა ხელი. კინოსტუდია „ქართული ფილმის" მიელინებით ვიყავი „მოსფილმფონდშიც", მაგრამ იქაც არ აღმოჩნდა ის ფილმები, რომლებშიც ჩვენი თანამემამულე მონაწილეობდა. იტალიურ არქივებში იქნება დაცული.

გ. დოლიძე.

შაბიერ კინტანა: „ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობ საქართველოს"

თბილისში სტუმრად არის ცნობილი ენათმეცნიერი, ბასკური ენის სამეფო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ქალაქ ბილბაოს უნივერსიტეტის პროფესორი, ქართველი ხალხის დიდი მეგობარი შაბიერ კინტანა. მისი ჩამოსვლის მიზანია განაგრძოს კვლევა ბასკურ-კავკასიური ენების დარგში, გაეცნოს საქართველოს, კონსულტაციები მიიღოს მეცნიერი რუსთველოლოგებისაგან ბასკურ ენაზე „ვეფხისტყაოსნის" თარგმნასთან დაკავშირებით.

საქინფორმის კორესპონდენტი მ. გაბრიაძე შეხვდა მეცნიერს და სთხოვა გაეზიარებინა აზრი ბასკეთ-კავკასიის ჰიპოთეზის შესახებ, მოეთხრო, თუ როგორ მუშაობს რუსთაველის პოემის თარგმნაზე.

— უკვე დავამთავრე მუშაობა პოემის პირველი ნახევრის თარგმანზე, — თქვა შაბიერ კინტანამ. — მისი შესავალი და სამი თავი გამოქვეყნდა ლიტერატურულ ჟურნალ „ეგანში". დიდი სიამოვნებით ვთარგმნი ადრეული რენესანსის ამ გენიალურ ქმნილებას. მუშაობის პროცესში თვალწინ მიდგება საქართველო, მისი გულუხვი და სტუმართმოყვარე ხალხი, ჩემს ცხოვრების გარკვეულ ასახვას ვპოულობ ამ პოემაში. ბედნიერი ვარ, რომ ვიცნობ საქართველოს და მიყვარს იგი.

ორი წლის შემდეგ, როცა მუშაობას დავამთავრებ, ვფიქრობ შევადგინო და გამოვცე ბასკურ ენაზე „ქართული პოეზიის ანთოლოგია" და ქართულ ენაზე „ბასკური პოეზიის ანთოლოგია", აგრეთვე ესპანურ ენაზე ვთარგმნო „ვეფხისტყაოსანი".

— ბასკურ-კავკასიური და, კერძოდ, ქართველური ენების პრობლემა მეტად რთული და მრავალმხრივია, თქვა შემდეგ კინტანამ. — ჩვენ ჯერ არა გვაქვს საკმარისი მეცნიერული მასალები, იმისათვის, რომ საბოლოოდ გადავჭრათ ეს პრობლემა, რომლითაც ახლა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მეცნიერები არიან დაინტერესებული.

ქართველ ბასკოლოგები ნაყოფიერად მუშაობენ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ზრდიან ბასკოლოგიის სპეციალისტებს.

ქართულ ენას სისტემატურად სწავლობენ ქალაქ ბილბაოს უნივერსიტეტშიც. ვფიქრობ, რომ მალე დადგება დრო, როცა აქტიურად გავცვლით სპეციალისტებს ამ პრობლემის გადაწყვეტისა მარტო ლინგვისტების, არამედ არქეოლოგების, ეთნოგრაფების, სხვა დარგების სპეციალისტთა დაუღალავ ძიებას მოითხოვს.

თანამედროვე ეტაპზე უკვე დადგენილად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის, რომ ბასკური და ქართული ენებში აშკარად შეიმჩნევა ტიპოლოგიური ნათესაობა, რომ ისინი ერთ ენობრივ ჯგუფს განეკუთვნებიან.

საუბრის დასასრულს შაბიერ კინტანამ თქვა:

— საქართველოში ყოფნის დროს მიღებული შთაბეჭდილებანი დაუვიწყარია. ადამიანები, მათი ზნე-ჩვეულებანი, გარეგნობა, ტანსაცმელიც კი — ყველაფერი მაგონებს მშობლიურ ბასკეთს.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს, მის პრეზიდენტს ე. ხარაძეს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის განყოფილების აკადემიკოს-მდივანს შ. ძიძიგურს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორს ა. ბარამიძეს, პროფესორ ი. ტაბაღუას იმისათვის, რომ შესაძლებლობა მომცეს მეორედ ვწვეოდი საქართველოს, შეეხვედროდი მეცნიერებს, აზრი გამეზიარებინა მათთვის. მადლიერების სიტყვებით მსურს მივმართო იური ზიცარს — ჩემს მუდმივ კონსულტანტს, ყველა ჩემს კოლეგას, რომლებიც პრაქტიკულად მეხმარებიან მუშაობაში.

პროფესორის გასაჭირი

თ. რასიევი
ბულგარელი მწერალი.

პროფესორმა საათს დახედა. ფოსფორიანი ისრები თორმეტს უახლოვდებოდა.

— დროა, — ჩაიბურტყუნა მან და თავშესაფრად განკუთვნილი კარადიდან გამოძვრა. მბრეგში გაიმართა, უკაცრიელ ქუჩაში ქურდულად გამოვიდა, გაიხედ-გამოიხედა და ღამის გრილი და სუფთა ჰაერით გამოცოცხლებული შინისაკენ გაემართა. მთელი ამ დღეების მანძილზე პროფესორმა პირველად იგრძნო თავი მშვიდად და სტვენაც კი წამოიწყო, როგორც პატარაობისას, სოფლად მწყემსობის დროს რომ იცოდა ხოლმე.

უეცრად ვიღაცის შემზარავი ხმა ჩაესმა:

— შეჩერდი! ან ფული ან სული!

ტოტებგამოლილ წაბლის ხესმოფარებული ნიღბიანი კაცი გამოხტა და პროფესორს დამბაჩის მიაბჯინა.

პროფესორმა ხელები ასწია და სიხარულისაგან აკანკალებული ხმით შესძახა:

— ო, ბატონო ჩემო, ნუთუ ყურმა არ მომატყუა, ფულს თხოულობთ და მეტს არაფერს?

— აბა, სხვა რა უნდა მე